

საამაყო მამა-შვილი

სამუშაო ოთახის თაროები სავსეა წიგნებით. კედელზე რუკაა გაკრული. მაგიდაზე სამელნე, კალამი, უამრავი ქაღალდი და კალათში ჩაწყობილი ნუგბარი დევს. მოწისფერ ფარდებზე მზის ათინათები ეცემა. ფარდას წევს სანადირო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა, რომელსაც წერილი უჭირავს ხელში, ფართოდ იღიმის და ხმამაღლა იწყებს კითხვას:

-„თეკლას, მამისა და დედის სიხარულოს, მადლი, წყალობა და მშვიდობა, ღვთისა მიერ. შენი სიბრძნით სავსე წერილი მომივიდა. შენ ხომ იცი და გონიერი ქალიცა ხარ, როგორც მიაძებოდა. მაგრამ უცხოს ოსტატობით...“

ამ დროს კი კარი იღება. ახალგაზრდა კარისკენ ტრიალდება და სახე უფრო მეტად უნათდება. ოთახში ტანად პატარა, მეფურ სამოსში გამოწყობილი კაცი შემოდის.

-დილა მშვიდობის, თეკლა ბიჭო!

-დილა მშვიდობის, მამა!- თეკლა მამისკენ ჩასახუტებლად მირბის.

-ნაადრევად გამზადებულხარ. აქ რით დაკავებულა თქვენი უდიდებულესობა?

-შენს წერილს ვკითხულობ , ორი დღის წინ რომ გამომიგზავნე. იცი, შენი საჩუქარი ხელუხლებელია. როდესაც სახლში დავბრუნდებით, ერთად მივირთვათ.

-კარგი, თეკლა ბიჭო! გამოვიცვლი და წავიდე.

ერეკლე მეფე ოთახიდან გადის.

ნახევარ საათში მეფის სასახლის ეზოდან ორი ცხენი მოაგელვებს მხარდამხარ. ერთ ცხენზე „პატარა კახი“ მოკალათებულა, ხოლო მეორე ცხენზე თეკლე ბატონიშვილი ამხედრებულა და ტოლს არ უდებს მამას. მამა კი შემახილებით ამხნევებს: „აბა, შენ იცი, თეკლა ბიჭო!“, „გაუმარჯოს თეკლე ბატონიშვილსა!“, „ყოჩაღ, თქვენო უდიდებულესობავ!“

ცოტა ხანში „პატარა კახი“, თავის ნაბოლარა ქალიშვილთან ერთად დანიშნულების ადგილზეა. ჩასაფრებულნი ელოდებიან ნადირს. ერეკლე მეფე თეკლესთან ძალიან ახლოსაა, ფრთხილობს.

-მამა, რატომ ფრთხილობ ასე? ჩემს შესაძლებლობებში ხომ დარწმუნებული ხარ?პირველად ხომ არ ვნადირობ?

-ჩემო პატარა ქალბატონო, მე შენ გენდობი, ტყუილად კი არ შეგარქვი „თეკლა ბიჭი“- მე შენი მებრძოლი ხასიათი მიყვარს და მჯერა შენი შესაძლებლობების; მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ხომ იცი, რამდენიმე შვილი დაბადებისთანვე გარდამეცვალა, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. მინდა, რომ ყოველთვის ჩემს გვერდით იყო, ჩემთან ახლოს, ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ. შენ ჩემი არამართო შვილი, არამედ მეგობარი და მრჩეველიც ხარ. ძალიან მიყვარხარ, ჩემო თეკლა ბიჭო!

-ნუ ღელავ, მამა! თეკლა ბიჭსაც ძალიან უყვარხარ!

საღამოს, ერეკლე ბაღში ელოდება თეკლა ბიჭს. ერთად უნდა მიირთვან ნუგბარი. კიბეზე მოაბიჯებს მომხიზვლელი გოგონა, რომელიც განსხვავებულია ახალგაზრდისგან, რომელიც დილას მეფის კაბინეტში იცდიდა. ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი მოაბიჯებს და იღიმის. არა, ღიმილი იგივეა. აშკარად, ის ახალგაზრდაა.

-საღამო მშვიდობის, პატარა ქალბატონო! ძალიან კარგად გამოიყურები! როგორ გიხდება შენი ეროვნული სამოსი!

-საღამო მშვიდობის, მამა! დიდი მადლობა!

მამა-შვილი მაგიდასთან მიდის და სხდება. გემრიელად მიირთმევენ ტკბილეულს.

-როგორი ხელგარჯილობით დაგიწერია წერილი, მეც და დედასაც ძალიან გვეამა შენი წერილის წაკითხვა. უფრო არაბულს ხელს გავდა შენი ნაწერი. აბა მითხარი, ყველაზე მეტად რა გიყვარს ამ ქვეყნად?

-ჩემი ოჯახი.

-და სამშობლო, თეკლა ბიჭო?

-ნუთუ სამშობლო ჩემი სახლი და ოჯახი არ არის, მამა?!

-ნამდვილად, თეკლა ბიჭო. ნამდვილად, საამაყო პასუხია. ყოველთვის, უპირატესობას უნდა ანიჭებდე სამშობლოს. სამშობლო ყველაზე წმინდა რამ არის. გიყვარდეს იგი მუდამ! ძალიან გონიერი ხარ! გუშინდელი დღესავით მახსოვს შენი დაბადება, თეკლა ბიჭო. მეშინოდა, შენც არ დამეკარგე, მაგრამ ძლიერი აღმოჩნდი და ჯანმრთელიც დაიბადე. თავიდანვე მებრძოლი ხასიათი გქონდა. სწორედ ამიტომ დაიმსახურე შენი მეტსახელის სიგელით დამტკიცებაც. ახლა კი თხუთმეტი წლის ხარ. თვალსა და ხელს შუა შემომეზარდე. შენ პატრიოტი ქალი გაიზრდე, თეკლა! ძალიან ვამაყოფ შენით.

-მამა, ეს ყველაფერი, შენი დამსახურებაა! შეუძლებელია, შენი შვილი ასეთი არ იყოს.

მამა-შვილი ხელგადახვეულნი სხედან და ტკბილად საუბრობენ.

დიახ, ეს საქართველოს მეფეა, ქართველმა ერმა ძლიერ რომ შეიყვარა; გვერდით კი, მეფის ასული ზის- თეკლე ბატონიშვილი, რომელიც საქართველოს პატრიოტ ქალად აღიზარდა. მას კი ჰყავდა ისეთი საამაყო შთამომავლები, როგორიცაა გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეს პატრიოტიზმი ასე უსასრულოდ „თეკლე ბიჭის“ შემდგომი თაობიდან მომავალ თაობას გადაეცემოდა. ეს კი სწორედ ერეკლე მეფის დამსახურებაა. ქართველი ერი ძალიან ამაყოფს მამა-შვილით. ჩვენ, ყველას კარგად გვახსოვს ისინი, როგორც პატრიოტი ქართველები და ყველა ქართველის გული ფეთქავს მათი დიდი სიყვარულით.

სახელი და გვარი: მარიამ ბენიძე; ასაკი: 14; ქალაქი :ქუთაისი; სკოლა: სსიპ.#30 საჯარო

კლასი: მე-9^ბ